დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 1082519535**

თარიღი:**14/07/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების ჩარჩო დოკუმენტის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის და მისი შემადგენლობის განსაზღვრის თაობაზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში – გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. მდგრადი განვითარების მიზნები მსოფლიოს გარშემო აერთიანებს ქვეყნების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას შემდეგი ღირსეული ამოცანების შესასრულებლად: სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება, თანასწორობის ხელშეწყობა, ქალაქების მდგრადობა, კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოკეანეებისა და ტყეების დაცვა, ყველა დონეზე ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა.

გაეროს გენერალური ასამბლეის A/RES/70/1 რეზოლუციით მიღებული 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებაში თანაბრად მნიშვნელოვანია ხელისუფლების ყველა დონის ჩართულობა. მდგრადი განვითარების ზოგიერთი მიზნის მიღწევა და რიგი ამოცანების შესრულება კი ექსკლუზიურად მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ აქტიური ნაბიჯები გადაიდგას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზებისათვის (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვისათვის).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, ასევე, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი დმანისის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალური დოკუმენტის შესამუშავებლად შემდეგი შემადგენლობით:

ა) ბექა ლაგურაშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი;

ბ) მეგი ედიბერიძე - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი;

გ) ლევან მანთაშაშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;

დ) თემური ტატულაშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) მალხაზი გვიჩიანი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი;

ვ) გიორგი ტატუაშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის ხელმძღვანელი;

ზ) ნინო ონანაშვილი - ა(ა)იპ „დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორი;

თ) ნინო ოქრიაშვილი - ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“-ს დირექტორი;

ი) თამაზი ადუაშვილი - ა(ა)იპ „დმანისის სერვის ჯგუფი“-ს დირექტორი.

კ) ლერი ბერუაშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე.

2. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის, ასევე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის შესაბამისი ინფორმაციის წერილობით გაგზავნა.

3. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება დმანისის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებისათვის.

4. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს დმანისის დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობის უზრუნველყოფა „დმანისის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალური დოკუმენტის“ საბოლოო ვარიანტის შემუშავებაში.

5. დმანისის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალური დოკუმენტის შესამუშავებლად შექმნილ სამუშაო ჯგუფს უხელმძღვანელოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა - ბექა ლაგურაშვილმა.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქუჩა №113.

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი